№3-927 01.02.2024

სურსათის ეროვნული სააგენტოს

უფროსს ბატონ ზურაბ ჩეკურაშვილს

ბატონო ზურაბ,

მადლობას მოგახსენებთ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის შეტყობინების თაობაზე პასუხისათვის (წერილი N 09/776).

სეს-ის პასუხი ბოლომდე გასაგები არ აღმოჩნდა, ამიტომ იძულებულები ვართ კიდევ ერთხელ შეგაწუხოთ.

ჩვენი შეტყობინება ეხებოდა რძის ნაწარმის სახელწოდებით გაყიდულ სურსათში მცენარეული ცხიმის აღმოჩენას. აღნიშნული შეტყობინების საფუძველზე, ი/მ დავით ჯიქიძისა და ი/მ ხათუნა ჭელიძის მაღაზიებში სეს-მა მიაკვლია იმ პროდუქციას, რომლებშიც ჩვენი კვლევის შედეგად მცენარეული ცხიმი აღმოჩნდა. თუმცა, სეს-ს აღნიშნული სურსათის ლაბორატორიული კვლევა არ ჩაუტარებია. შესაბამისად, გაუგებარია სცადა, თუ არა სეს-მა ჩვენს მიერ გამოვლენილი დარღვევის დადასტურება, აღნიშნული დარღვევის ჩამდენი პირების გამოვლენა და, ამის საფუძველზე, კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება.

გთხოვთ განგვიმარტოთ, რატომ არ მოხდა ი/მ დავით ჯიქიძისა და ი/მ ხათუნა ჭელიძის მაღაზიებში რეალიზებული ჩვენს შეტყობინებაში (წერილი N 3-912) მითითებული პროდუქციის ლაბორატორიული კვლევა რძის ცხიმის სისუფთავეზე.

გთხოვთ მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე vakhtang.kobaladze@csrdg.ge.

პატივისცემით,

ვახტანგ კობალაძე

პროგრამის კოორდინატორი

www.moxmarebeli.ge
საკითხს აზუქებს moxmarebeli.ge